

1. ინფორმაცია სემინარის შესახებ
მსოფლიო ბანკი / SARAS / ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (EFAA)
ვებინარი

მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა და აუდიტორთა რეაგირება
კორონავირუსის პრობლემასთან

17: 00-18: 30 29 მაისი 2020

ინგლისური ტექსტი სინქრონული ავტომატური ქართული თარგმანით

ეკონომიკაში კორონავირუსის პანდემიით მიღებული დარტყმის შემდეგ, მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა პრაქტიკა (SMPs) აღმოჩნდა უპრეცედენტო მდგომარეობაში, როდესაც უნდა შექმნას ახალი ნორმები როგორც საკუთარი თავისთვის, ისე თავისი კლიენტებისთვის. ამ ვებინარზე, პოლ ტომპსონი, ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (EFAA) დირექტორი მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა საკითხებში, შეაჯამებს პანდემიის გავლენას SMP-ებსა და მათ SME (მცირე და საშუალო საწარმოები) კლიენტებზე, ახლა და მომავალში, ევროკავშირის (EU) მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ. პოლ ტომპსონი გაგიზიარებთ მაგალითებს და საუკეთესო პრაქტიკას, თუ როგორ შეიძლება SMP-ებმა საუკეთესო რეაგირება მოახდინონ გამოწვევებზე, ასევე ზოგად მონახაზს გააკეთებს ამისთვის საჭირო ხელმისაწვდომ მითითებებზე და მხარდაჭერაზე.

დღის წესრიგი

1. ზოგადი ინფორმაცია [5 წუთი]
2. ევროკავშირისა და მის ფარგლებს გარეთ კლიენტებზე მომხდარი გავლენა [10 წუთი]
3. რეაგირება გამოწვევებზე [30 წუთი]
 - ა. კლიენტთან კომუნიკაცია
 - ბ. საკონსულტაციო მომსახურება [ხარჯების შემცირება, ფულადი ნაკადების პროგნოზირება, ფინანსებზე წვდომა]
 - გ. დისტანციური მუშაობა [ტელეკონფერენცია]
 - დ. ციფრული ტრანსფორმაცია [დისტანციური მუშაობა, ვიდეო ჩატი]
 - ე. ურთიერთობა SME კლიენტებთან
4. მითითებები და მხარდაჭერა [20 წუთი]
5. კითხვები და პასუხები [20 წუთი]
6. დასკვნითი ინფორმაცია [5 წუთი]

2. ინფორმაცია „მცირე ბიზნესის ბუღალტერთა და აუდიტორთა ევროპული ფედერაციის“ (EFAA) და პოლ თომპსონის შესახებ

მცირე ბიზნესის ბუღალტერთა და აუდიტორთა ევროპული ფედერაცია (“EFAA”) ევროკავშირის და ზოგადად ევროპის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პროფესიული სერვისების პროვაიდერი ბუღალტრების და აუდიტორების წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა. მისი წევრები ძირითადად მცირე პრაქტიკოსები (“SMPs”) არიან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინდივიდუალურ საქმიანობას ეწევა. ამგვარად, ფედერაციის წევრები თვითონ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არიან და პროფესიული სერვისების (მაგ. აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშწარმოება, საგადასახადო და ბიზნესკონსულტაცია) ფართო სპექტრს სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს. ფედერაცია წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და საგადასახადო კონსალტინგის 12 ეროვნულ ორგანიზაციას 350,000 -ზე მეტი ინდივიდუალური წევრით.

პოლ თომპსონი მცირე ბიზნესის ბუღალტერთა და აუდიტორთა ევროპული ფედერაციის (“EFAA”) დირექტორი და კონსულტანტია, რომელიც აქტიურად საქმიანობს მოწინავე პრაქტიკის და გლობალური ბუღალტრული პროფესიის განვითარების სფეროში. 2004 წლიდან 2016 წლამდე ბ-ნი თომპსონი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში (IFAC) გლობალური ბუღალტრული პროფესიის მხარდაჭერის მიმართულების დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა. ეს ფუნქცია მოიცავდა IFAC -ის გლობალური ცოდნის, კვლევის და ინოვაციების, მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების მხარდაჭერის ღონისძიებების და პროფესიონალი ბუღალტრების ზედამხედველობას (PAIB). ბ-ნი თომპსონი ასევე საქმიანობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს საკონსულტაციო ორგანოში (მცირე ბიზნესის სტანდარტების დანერგვის ჯგუფში) და არის ნოტინგემის უნივერსიტეტის მალაიზიის ბიზნესსკოლის დარგობრივი საკონსულტაციო საბჭოს (IAB) წევრი, რომელიც სტრატეგიულ რეკომენდაციებს აწვდის ბიზნესსკოლას. ის კონსულტაციებს უწევს ბუღალტრული აღრიცხვის განვითარებად პროფესიულ ორგანიზაციებს ევროპასა და აზიაში. წარსულში ბ-ნი თომპსონი მუშაობდა კომპანიაში Touche Ross & Co (ლონდონი), სანამ დაიწყებდა ლექციების კითხვას კორპორაციული ანგარიშგების და ანალიზის შესახებ გაერთიანებული სამეფოს, სინგაპურის და მალაიზიის უნივერსიტეტებში. მას გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი აკადემიურ ჟურნალებში და პროფესიულ პრესაში ეთიკური ფინანსების კორპორაციული ანგარიშგების, კორპორაციული მართვის, ინტეგრირებული ანგარიშგების, პრაქტიკის მართვის და პროფესიის მომავლის შესახებ. ბ-ნი თომპსონს დამთავრებული აქვს უორვიკის უნივერსიტეტი ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანალიზის ბაკალავრის ხარისხით და არის ინგლისის და უელსის ნაფიცი ბუღალტერთა ინსტიტუტის წევრი. ის ასევე ფლობს საერთაშორისო ოსტატის წოდებას მარათონულ რბენაში.